# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში

**(01.09.2018 – 02.09.2019)**

**2019 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
ცოტნე ანანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ილია ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“

კომიტეტის წევრები:
ვლადიმერ მგალობლიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება“
ნუგზარ სურმანიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
ელგუჯა ბაგრატიონი - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
პეტრე ზამბახიძე - უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

კომიტეტის აპარატი
ბაკურ ბოლქვაძე - აპარატის უფროსი
თამარ წილოსანი - კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე
ეკატერინე ბერიძე - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ირაკლი აბაშიძე - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
თამაზ ქობულაძე - მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების, აჭარის ა.რ. კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კომიტეტის დებულების შესაბამისად.

**საკანონმდებლო საქმიანობა**

**კომიტეტში საანგარიშო პერიოდში მოწვეულია 9 სხდომა, განხილულია :**
**6 კანონის პროექტი:**

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“;
- „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“;
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ცვლილების შეტანისშესახებ“;
- აჭარის ა.რ. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ;
- აჭარის ა.რ. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ა.რ. კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**4 დადგენილების პროექტი -**

- „საქართველოს კონსტიტუციის 45 - ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე;

- „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩეველთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;
- „აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“;
- „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

**1 რეგლამენტის პროექტი** - ცვლილებათა პაკეტი;

**ანგარიშები:**

- აჭარის ა.რ. 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიში
- აჭარის ა.რ. 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში
- აჭარის ა.რ. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში
- აჭარის ა.რ. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიში

- აჭარის ა.რ 2019 -2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

- აჭარის ა.რ. სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

**აღნიშნულ საკითხებზე კომიტეტმა მოამზადა 13 დასკვნა.**

## კორესპონდენციის ანალიზი

**კომიტეტმა წარმოებაში მიიღო სულ 165 კორესპონდენცია დოკუმენტი, რომელთაგან ყველა რეგირებულია.**

*შემოსული*

| **მოქალაქეები** | |
|---|---|
| დასაქმება | 1 |
| საკუთრების უფლების დაცვა/აღდგენა | 2 |
| საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 2 |
| სოციალური პირობები | 3 |
| კანონიერი უფლებების დაცვა | 3 |
| შუამდგომლობა შეწყალებაზე და პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე | 30 |
| ბრალდებულები და მსჯავრდებულები | 6 |
| სხვა | 3 |
| *სულ -* | 50 |
| **უწყებები და ორგანიზაციები** | |
| სპეციალური პენიტენციური სამსახური | 6 |
| პროკურატურა | 1 |
| პენიტენციური დაწესებულება | 15 |
| საქართველოს პარლამენტი | 5 |
| აჭარის ა.რ. მთავრობა | 2 |
| ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | 4 |
| აჭარის სხვა მუნიციპალიტეტების მერიები | 3 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტო | 1 |
| სსიპ აჭარის ტელევიზია და რადიო | 2 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 3 |
| აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 4 |
| აჭარის პრობაციის ბიურო | 1 |
| შიდა შემოსული კორესპონდენცია | 57 |
| სხვა | 11 |
| *სულ -* | 115 |
| **შემოსული კორესპონდენციის საერთო ჯამი** | **165** |

*გასული*

| | |
|---|---|
| პასუხი მოქალაქეებს | 62 |
| პასუხი მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს | 2 |
| სპეციალური პენიტენციური სამსახური | 2 |
| პროკურატურას | 3 |
| პენიტენციურ დაწესებულებას | 17 |
| საქართველოს პრეზიდენტს | 14 |
| ქ. ბათუმის მუნიციპ. მერიას | 3 |
| აჭარის ა.რ. მთავრობას | 1 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს | 1 |
| აჭარის ა.რ. ჯანდაცვის სამინისტრო | 1 |
| აჭარის პრობაციის ბიურო | 3 |
| აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 2 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 1 |
| შიდა გასული კორესპონდენცია | 44 |
| სხვა | 7 |
| **გასული კორესპონდენციის სერთო ჯამი -** | **163** |

**კომიტეტში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში მოუსმინეს და შესაბამისი რეაგირება გაეწია- - 43 მოქალაქეს:**

**კომიტეტი თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.**

საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის მიღებიდან 70 წლის იუბილე შესრულდა.

2018 წელი იმ მხრივაც საინტერესო აღმოჩნდა, რომ 2018 წლის 9 დეკემბერს პირველად აღინიშნა უფლებადამცველების დღე, თუმცა 20 წელია, რაც გაეროს უფლებადამცველების შესახებ დეკლარაციაში გაიწერა უფლებადამცველების დაცვისათვის აღიარებული საერთაშორისო პრინციპები.

- კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ უფლებადამცველებს საერთაშორისო დღე მიულოცა, საზოგადოებას შეახსენა თუ რაოდენ დიდია უფლებადამცველების როლი საზოგადოების და სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების, ასევე საყოველთაო მშვიდობის ხელშეწყობის საკითხებში.
  განცხადება განთავსებულია უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

- 2019 წლის 15 მაისს, უფლებადამცველების დაცვის ღონისძიებების მხარდაჭერის მიზნით კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ილია ვერძაძის ინიციატივით, პროექტის - "Batumi Shelter City-ს" „ბათუმი ქალაქი თავშესაფარი" ფარგლებში აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს - „Truth hounds-ის"„სიმართლის მაძიებელი" და - "Tbilisi Shelter City-ს" „თბილისი ქალაქი თავშესაფარის" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

  მემორანდუმი 6 პუნქტისაგან შედგება, რომლის მიზანი საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის დემოკრატიული სტანდარტების, პრაქტიკის განვითარების, უფლებადამცველებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნის პირობებზეა, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებიდან, მათთვის რელოკაციის პროგრამის, სამედიცინო სერვისების, საგანმანათლებლო ტრენინგებისა და კომპეტენციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით.

**კომიტეტმა სხვა უფლებებთან ერთად, 2019 წელს პრიორიტეტულად განსაზღვრა აჭარის რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობების პირების უფლებრივი საკითხები.**

- „თქვენთან ერთად ვიმუშავებ სათანადო გარემოს შესაქმენლად"- განაცხადა სამუშაო შეხვედრაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ 2018 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, ბათუმში „თავისუფალსივრცეში", შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზიებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

  შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა შშმ პირთათვის სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და პროგრამებზე ინფორმაციის მიწოდება, მათ აღსრულებაზე კონტროლი, შშმ პირების პრობლემები და მათ მიერ შემოთავაზებული პრიორიტეტები. შეხვედრის მონაწილეებმა დისკუსიის ფორმატში იმსჯელეს.

  საუბარი შეეხო შშმ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, დასაქმებისა და ადაპტირებული გარემოს ხელშეწყობის საკითხებს, რა დროსაც გამოვლინდა, რომ ფედერალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები მეორდება რესპუბლიკურ და მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამებში, რაზედაც კომიტეტის

თავმჯდომარე გაამახვილებს ყურადღებას 2020 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის განხილვის პროცედურების დროს, რათა ფინანსები იყოს უფრო ოპტიმალურად გაწერილი და მორგებული შშმ პირების საჭიროებებზე. ასევე, აღინიშნა, რომ ადაპტირებული სივრცეების ნაკლებობაა და ამ მხრივ სამუშაოა, ასევე ერთი და იგივე ბენეფიციარები სარგებლობენ სხვადასხვა პროგრამებით, როცა რეგიონების დონეზე შესაძლოა პროგრამებზე წვდომა ჭირდეს, თუმცა არსებობენ ისეთი ბენეფიციარებიც, რომლებიც პროგრამების გამო რეგისტრაციის ადგილსაც იცვლიან.
ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

დასასრულს შეხვედრის მონაწილეებს ცოტნე ანანიძემ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სახელით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ფლაერები) უსახსოვრა.

- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერილი პროექტის-„მომავალი იწყება დღეს“( Human Doc- პროექტის ქვეპროგრამა) ფარგლებში, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ მონაწილეობა მიიღო სმენადაქვეითებულთა და უსინათლოთა კლუბების გახსნაზე, 2018 წლის 15დეკემბერს.
  პოლონური ორგანიზაციის ამ პროექტით, ამიერკავკასიაში პირველად შეიქმნა ერთდროულად სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანების რეაბილიტაციის, განათლების, ინტეგრაციის ცენტრი, რომლებიც თბილისში, თელავში, ბათუმსა და ზუგდიდში იფუნქციონირებენ. კლუბებში, რომლებსაც სპეციალური აღჭურვილობები გადაეცათ, პოლონელი ექსპერტების მიერ გადამზადებული სპეცპედაგოგები იმუშავებენ.
  ცოტნე ანანიძემ მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს და აღნიშნა, რომ ახლადდამკვიდრებული ლორმის ანბანი სმენადაქვეითებულ და უსინათლო პირებს სოციალიზაციისა და კომუნიკაციის პირობებს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს.

  ღონისძიებაში Human Doc - პროგრამების ხელმძღვანელობა და ამავე ორგანიზაციის ადგილობრივი პარტნიორები მონაწილეობდნენ.

- 2018 წლის 21 დეკემბერს, ცოტნე ანანიძემ მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში შშმ პირთა სოციალიზაციის კუთხით განხორციელებული მუნიციპალური პროექტების მონიტორინგისა და ადვოკატირების საკითხებზე, რომელიც გაიმართა ბათუმში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტელექტის“ ოფისში, ა(ა)იპ „უსინათლოთა ხმისა“ და ხულოს შშმ პირთა კავშირის თანაორგანიზებით.

  შეხვედრის მონაწილეებმა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ პრობლემებზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტებსა და რეგიონალურ მთავრობას მოგვარება სთხოვეს. ყურადღება გამახვილდა ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყოფასა და პერსონალური ასისტენტის ინსტიტუტის შემოღებაზე.

  შშმ პირთა ადაპტირებისათვის საქმიანობის იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, „სამოქალაქო საზოგადოებისგან ვითარების ინიციატივის" (2017 -2020) პროექტის - ფარგლებში, კონსორციუმ კონრადადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით განხორციელდა. პროექტს აფინანსებდა ევროკავშირი და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის სამინისტრო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების და მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.

ცოტნე ანანიძე შეხვედრის მონაწილეებს თანამშრომლობას და კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას დაჰპირდა.

- შეზღუდული შესაძლებლობების მოზარდებს კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ შობა -ახალი წლის დღესასწაული მიულოცა, 2019 წლის 14 იანვარს, კაფე ,,ორიენტ-ბათუმში", სადაც შშმ მოზარდებისთვის თოჯინების თეატრის ექსპერიმენტული წარმოდგენა გაიმართა, რომელშიც მსახიობებთან ერთად, მოზარდებიც ჩაერთვნენ.
  წარმოდგენის დასასრულს ცოტნე ანანიძემ მოზარდებს საახალწლო საჩუქრები გადასცა.

- 2019 წლის, 17 იანვარს, კომიტეტს მომართა შშმ პირმა დახმარების თხოვნით სოფელ ახალშენში ქალაქთან დამაკავშირებელი დანიშნული ე.წ. „ბოგდანის" ტიპის ავტობუსის ადაპტირებული ავტობუსით ჩანაცვლებაზე, რაზედაც კომიტეტს ჰქონდა კომუნიკაცია შესაბამის მერიის სამსახურებთან. მოგვიანებით, ბათუმის მერიამ უზრუნველყო ბათუმის მუნიციპალიტეტში ტენდერში გამარჯვებული უკრაინულ-იაპონური კომპანიის – ,,ჩერკასკიავტობუსის" ,,ისუზუატამანის" მოდელის 40 ავტობუსის ექპლუატაციაში გაშვება. ახალი ავტობუსები 60 ადამიანზეა გათვლილი, აღჭურვილია GPS სისტემითა და კონდენციონერით, არის ეკონომიური თანამედროვე, უკონტაქტო გადახდის პირობით და ეკოლოგიურად უსაფრთხო.
  თუმცა, ეს საკითხი ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილი აჭარის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტში.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, 2019 წლის 14 ივნისს, შშმ პირთა მხარდასაჭერად, ,,მოხალისეობა - აქტივობა და საქმიანობა შშმ პირებისათვის" აქციის ფარგლებში, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ, ბათუმში, ,,თავისუფალ სივრცეში" ერთი დღით მოხალისე მიმტანის პროფესია შეითავსა.
  გამომუშავებული თანხა გადაეცა „თავისუფალ სივრცეს" შშმ პირების სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის მიზნით - დასაქმების, ასევე საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების მხარდასაჭერად.
  ღონისძიება, ასევე ემსახურებოდა სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაციას საზოგადოებაში, სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მოხალისეთა ინსტიტუტისადმი ჯანსაღი მიდგომების დამკვიდრებას.
  ღონისძებაში მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოსა და კომიტეტის სხვა წევრები, ასევე კომიტეტის აპარატის თანამშრომლები.

- კომიტეტის აპარატის თანამშრომლები, 2019 წლის 22 აგვისტოს, მონაწილეობდნენ პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ გამართულ საკომიტეტო მოკვლევაზე - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებზე.
  კომიტეტის აპარატის თანამშრომლებმა გაცვალეს ინფორმაცია რეგიონში არსებულ შშმ პირების უფლებრივ მდგომარეობაზე. ღონისძიებაში წარმოდგენილი იყვნენ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტები და გენდერული თანასწორობის საბჭო, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ შშმ პირთა საკითხებზე.

ქალთა და ბავშვთა უფლებები

- კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, 2018 წლის 4 დეკემბერს, მონაწილეობდა, დემოკრატიული ჩართულობის ბათუმის ოფისში -ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, ქალთა და კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების შესახებ, ბავშვთა უფლებების საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრაში.
  ღონისძიებას ესწრებოდნენ სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენლობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონში დასაქმებული ქალი მოხელები, საკრებულოს წევრები, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.
  სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენელმა ისაუბრა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენილ ფაქტებზე, არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების საქმიანობასა და არსებულ გამოწვევებზე, ასევე გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შესახებ.
  ღონისძიებას მოდერატორობას უწევდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის აჭარის წარმომადგენელი.

  მან ისაუბრა აჭარის რეგიონში ძალადობის მსხვერპლ ქალთა ახალი თავშესაფრის პირობებზე და კომიტეტს თანამშრომლობა აღუთქვა.

- საანგარიშო პერიოდში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხრიდან მომართვის ორი შემთხვევა დაფიქსირდა:
  1. 2019 წლის 19 მარტს კომიტეტს დახმარების თხოვნით მომართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მოქალაქემ, რომელიც კომიტეტთან პირადი კომუნიკაციისას აცხადებდა, რომ იყო მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი და შვილებთან ერთად თავშესაფრით უზრუნველყოფას ითხოვდა. კომიტეტმა ჩაატარა მოკვლევა, საკითხზე განცხადება შეტანილი იყო ასევე მუნიციპალიტეტის შესაბამის განყოფილებაში. კომიტეტმა იმდღესვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს მიმართა ძალადობის მსხვერპლი ქალის და მისი შვილების თავშესაფარში განთავსებაზე, რაზედაც ცენტრის ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადა, თუმცა როდესაც სოციალური მუშაკი ადგილზე მივიდა ქალმა უარი განაცხადა.
  ძალადობის განმეორებითი მცდელობების თავიდან აცილების მიზნით კომიტეტმა მიმართა სოციალურ სააგენტოს ფაქტის შესწავლაზე და კომიტეტის ინფორმირებაზე პერიოდული მონიტორინგის პროცესში.

  2. 2019 წლის მარტის თვეში მოგვმართა ძალადობის მსხვერპლმა ბათუმის მკვიდრმა ქალმა, რომელსაც კომიტეტის აპარატმა გაუწია იურიდიული კონსუტაცია.

- 2018 წლის ნოემბერს, კომიტეტს მომართა ხანდაზმულმა ქალბატონმა, რომელიც ზამთარში ქუჩაში ცხოვრობდა და საცხოვრისის არაარსებობის გამო თავშესაფრით უზრუნველყოფას ითხოვდა. კომიტეტმა ჩაატარა შესაბამისი მოკვლევა, დაუკავშირდა მერიის შესაბამის სამსახურებს და ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიას. საბოლოოდ, 29 ნოემბერს, ხანდაზმული ქალი უზრუნველყოფილ იქნა თავშესაფრით.

- კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძე უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, 2019 წლის 29 იანვარს, მონაწილეობდნენ საჯარო შეხვედრაში - „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონში და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ საჯარო დისკუსიაში. ღონისძიებას, რომელიც გაიმართა პარლამენტის

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ორგანიზებით ბათუმის უნივერსიტეტში, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები აჭარიდან, მოქალაქეები, მეცნიერები და ექსპერტები.

- ქალთა საერთაშორისო დღეს 2019 წლის 8 მარტს, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ სსიპ" საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ბათუმის ოფისში დასაქმებულ ქალ ადვოკატებს დღესასწაული მიულოცა. შეხვედრისას, ცოტნე ანანიძემ აღნიშნა ქვეყნის განვითარებაში ქალთა როლისა და მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე, მათ საქმიანობაში წარმატებები უსურვა და კოლეგებს ყვავილები გადასცა.

- 2019 წლის 14 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც ქალი მაშველების მიმართ გამოთქმულ შეფასებებს დისკრიმინაციული უწოდა. აღნიშნული განცხადება განთავსებულია უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ გვერდზე, გავრცელდა რეგიონის სამაუწყებლო ტელევიზიებითა და ინტერპრესნიუსის ელექტრონულ გვერდზე. განცხადება სრულად:

  - „ბათუმი სეზონური დასაქმებისთვის ძალიან კარგი ლოკაციაა, მაშინ როდესაც ტურიზმი პერიოდულად ვითარდება. წელს პირველად ჩვენს სანაპიროზე ქალ მაშველებს მიეცათ დასაქმების შესაძლებლობა, რაც მათი მხრიდანაც გაბედული/თამამი გადაწყვეტილებაა და მივესალმები. სოციალურ ქსელში ამ ფაქტთან დაკავშირებით არაერთი ხუმრობა და უხამსიშ ეფასებები შეგვხვდა. ჩემთვის ისიც გასაგებია, რომ თავის პირად სივრცეში ადამიანი რასაც დაწერს ეს მისი საქმეა, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ მსგავსი დამოკიდებულება არაჯანსაღია, განცხადებები შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს.“

**ქალთა უფლებების გაძლიერების საკითხებში კომიტეტის წევრები, როგორც უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებიც აქტიურად მონაწილეობენ.**

- **2018 წლის 20 ნოემბერს,** გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ,,ბავშვის უფლებების კონვენცია“, რომელიც ასახავს ყველა იმ უფლებასა და თავისუფლებას, რომლითაც უნდა სარგებლობდეს ნებისმიერი ბავშვი გამონაკლისის გარეშე. ბავშვთა შორის ურთიერთგაგებისა და ბავშვთა კეთილდღეობის ხელშემწყობი აქტივობების მხარდაჭერის მიზნით კომიტეტის თავმჯდომარემ განცხადება გაავრცელა

  - "სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ყველა ბავშვის კეთილდღეობაზე და მათი უფლებების დაცვაზე. ნებისმიერი საზოგადოების მომავალი დაკავშირებულია ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან, შესაბამისად, ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ძალადობისგან“.
    განცხადება განთავსებულია უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ გვერდზე.

- 2019 წლის 1 ივნისს კომიტეტის წევრებმა ილია ვერძაძემ და ნუგზარ სურმანიძემ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მზრუნველობის ქვეშ (ფერიის ბავშვთა სახლი, სადაც 200 ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს) მყოფ ბავშვებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს.
  ბავშვთა სახლს საჩუქრად კომპიუტერი გადაეცა, ხოლო სადღესასწაულო განწყობისთვის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით მხიარული ჯამბაზების წარმოდგენა გაიმართა და ბავშვებს ტკბილეულიც გადაეცათ.

**პატიმართა უფლებები**

- კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ, პატიმართა პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ბათუმის N 3 პენიტენციური დაწესებულება მოინახულა 3 -ჯერ, 2018 წლის 27 სექემბერს, 2019 წლის 13 თებერვალსა და 2019 წლის 2 სექტემბერს 14 საათის განმავლობაში პირადად შეხვდა და გაესაუბრა 49 პატიმარს.
  მისი განცხადებით, დაწესებულებაში გამორიცხულია პატიმრების მიმართ არაჰუმანური მოპყრობა, ძალადობა და სხვა მსგავსი ფაქტები, თუმცა პერმანენტული მონიტორინგის გაგრძელება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შენარჩუნდეს ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და სტანდარტები.
  პატიმრებს საცხოვრებელ პირობებზე პრეტენზიები არ გააჩნდათ, მაგრამ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ წერილების დაგვიანების, გასეირნების შეზღუდვისა და პატიმართა სხვა უფლებების რეალიზების შესახებ, რამდენიმე მათგანმა საჭირო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა, ხოლო მსჯავრდებულმა ნ.ლ-მ გაასაჯაროვა წერილი (odishinews.ge) არასათანადო მოპყრობაზე, სატელეფონო კავშირის, ოჯახის წევრებთან პაემნისა და სხვა უფლებების შეზღუდვაზე, რაც ადგილზე მოკვლევის დროს არ დადასტურდა.
  ტრადიციულად, პატიმართა მონახულების შემდეგ, გარკვეული საკითხების ადგილზე ოპერატიულად მოგვარების მიზნით, ცოტნე ანანიძე პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს ხვდებოდა. გარდა ამისა, ადგილიდანვე კონსულტაციებს მართავდა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთანაც.
  ეს დეპუტატის პატიმრებთან რიგით მე-11 და მე-12 და მე-13 შეხვედრები გახლდათ, 2018 წლიდან დაწყებული მონიტორინგის ფარგლებში, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

  უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს მე-2 და მე-14 პენიტენციური დაწესებულებიდან, რამდენიმე პატიმარმა მომართა მონახულების თხოვნით, რაზედაც კომიტეტმა ითხოვა შესაბამისი სამინისტროდან ნებართვა, რაც არ დაკმაყოფილდა.

- **საანგარიშო პერიოდში კომიტეტის თავმჯდომარემ შუამდგომლობა გაუწია სულ - 30 მსჯავრდებულს,** როგორც პრეზიდენტის წინაშე შეწყალების თხოვნით, ასევე ადგილობრივი საბჭოების წინაშე სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით. მიმართვები გაიგზავნა ასევე, აჭარის პრობაციის ბიუროში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიასთან პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის თხოვნით.

- პატიმართა რესოციალიზაციის ღონისძიებების მხარდასაჭერად, 2019 წლის 1 აგვისტოს, კომიტეტის აპარატმა მონაწილეობა მიიღო „დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ პატიმართა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - გაყიდვის ღონისძიებაში, ბათუმში „თავისუფალ სივრცეში“.
  კომიტეტის სახელით შეიძენილ იქნა პატიმრის მიერ ხელნაკეთი სურათი სახელმწიფო სიმბოლიკით.

**საკანონმდებლო იანიციატივა**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივები :

- „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც უმაღლესი საბჭოს წევრს მიეცემა სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება პენიტენციურ დაწესებულებაში;

- „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილების შესახებ, ბრალდებულის უფლების გასაუმჯობესებლად, ადვოკატთან შეუფერხებელი კომუნიკაციის განხორციელებისა და შესაბამისად, მხარეთა შორის თანსწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, სასამართლოში უნდა მოეწყოს ბრალდებულის ადვოკატთან შეხვედრის ოთახი, სასამართლო პროცესამდე/ან და სასამართლო პროცესის შემდეგ საკომუნიკაციოდ.
  კანონში ამ საკითხის რეგულირებით, ასევე ბრალდებულსა და მის ოჯახს შეუმსუბუქდება ადვოკატის მომსახურების ხარჯები, რაც ისედაც მძიმედ აწევთ პატიმრის ოჯახებს.

**აღნიშნულ ინიციატივებზე მიმდინარეობს კომუნიკაციები, კონსულტაციები და მოლაპარაკებები, როგორც შესაბამის სამინისტროებთან ასევე, საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, რათა ინიციატივებს მიეცეს შესაბამისი მსვლელობა და ისინი იქცნენ კანონად.**

- **კომიტეტში ამ დროისათვის მიმდინარეობს კიდევ ახალ ინიციატივაზე მუშაობა** - სიცოცხლის უფლების დაცვისა და სამოქალაქო უსაფრთხოებისა და რისკების პრევენციის მიზნით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსში ცვლილების შესახებ. კერძოდ, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, წყალზე მაშველთა მიერ მოსალოდნელ საფრთხეზე (შტორმის დროს) გაფრთხილების/ან და მითითების უგულებელყოფის შემთხვევაში, მოქალაქეს დაეკისრება ადმიანისტრაციული სახდელი/ჯარიმა.
  ამ რეგულირებით ასევე გაუმჯობესდება წყალზე მაშველთა სამუშაო პირობებიც.

**კომიტეტის თავმჯდომარემ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 70 წლის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ერთგვარი კამპანია აწარმოა:**

- **2019 წლის 3 მაისს,** წაიკითხა საჯარო ლექცია სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძოდ ადამიანის უფლებებზე, დანაშაულის პრევენციის, სასჯელის თანაზომიერებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებზე.

  ახალგაზრდებმა სამართლიანობის პრინციპების დაცვაზე, სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებაზე, პირადი ცხოვრების დაცულობაზე, ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებულ სასჯელებსა და სხვა, მათთვის საინტერესო საკითხებზე დასვეს კითხვები, რაზედაც განმარტებები მოისმინეს კომიტეტის თავმჯდომარისაგან.

  საჯარო ლექცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტის - ,,ლიბერრუმის“ფარგლებში ჩატარდა.

- **2019 წლის 12 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ვერძაძე მონაწილეობდნენ** სკოლა „იმედში“ გამართულ დისკუსიაში სახელწოდებით - „არა სიძულვილს!“
„ჩემი უფლების დაცვა არის სხვისი ღირსებისა და უფლებების პატივისცემა. თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში სიძულვილის ენა არის გაყიდვადი და მედიაც გვთავაზობს იმ პროდუქციას, რაც კარგად იყიდება. სიძულვილის ენა ლახავს პიროვნების პატივსა და ღირსებას. ამიტომ, ამ კუთხით აქტიური კამპანია აუცილებელია, რასაც ემსახურება დღევანდელი შეხვედრაც“ - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ.

  დისკუსიაში, ამავე სკოლის მე-9, მე-10 დამე-11 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, რომლებმაც კანონმდებლებს აღნიშნულ საკითხზე მათი კვლევის შედეგები გააცნეს.

  კომიტეტი მიიჩნევს, რომ სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის პროცესში, სიძულვლის ენა წარმოადგენს მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოებას.

  დისკუსია ფონდ „ოცნების“ მიერ კერძო სკოლებში გაიმართა სამოქალაქო აქტივობის ამაღლების მხარდასაჭერად.

- სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმაზე, დღევანდელობაზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე - 2018 წლის 21 სექტემბერს, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ინფორმაცია მიაწოდა „ევროკლუბის“ პროექტის - „დებატები ევროპული მომავლისათვის“ მონაწილეებს უმაღლეს საბჭოში გამართულ შეხვედრაზე.
  ახალგაზრდებმა თავის მხრივ ამ სფეროში აქტუალურ საკითხებზე კითხვები დაუსვეს ცოტნე ანანიძეს, რომლებმაც კომიტეტის თავმჯდომარისგან ბათუმის N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული კომიტეტის მონიტორინგის შედეგებზე ინფორმაცია მოისმინეს.
  აღნიშნულ პროექტი ფინანსდებოდა საპრეზიდენტო ფონდიდან.

- 2019 წლის 10 მაისს, კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა უმაღლეს საბჭოში, რომელთაც გაესაუბრა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ჩვენს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე, ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებზე, რომლებიც წინ უძღოდა ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებას დღეს არსებული საკანონმდებლო აქტების შექმნასა და მათ რეალიზებას.

  შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს უმაღლესი საბჭოს შენობა, გაეცნენ მის სტრუქტურასა და მუშაობის წესებს.

  დასასრულს მოსწავლეებს კომიტეტისგან სახსოვრად გადაეცათ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ფლაერები და შშმ პირთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის ღონისძიებაზე შეძენილი, კომიტეტში დაცული სურათი.

  **შეხვედრები ახალგაზრდებთან (სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები) ადამიანის ძირითად უფლებებზე, ბულინგზე და ნაადრევ ქორწინებაზე პრიორიტეტად განსაზღვრა კომიტეტის თავმჯდომარემ საანგარიშო პერიოდში, რაც გაგრძელდება მომდევნო წელიწადშიც.**

**სხვა აქტივობები და ღონისძიებები**

- 2018 წლის 28 სექტემბერს, კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებთან ერთად რეგლამენტის ახალ პროექტზე სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა.
  საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე, სამუშაო საკმაოდ ბევრია და აჭარის უმაღლესი საბჭო სრეგლამენტის პროექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს კანონშემოქმედებითი საქმიანობის დახვეწას. შეხვედრაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთაა სოციაციის (საია) სათაო ოფისის და აჭარის ფილიალის წარმომადგენლები, ამავე ასოციაციის საპარლამენტო მდივანი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ რეგიონული ოფისისდა „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებმაც .რეგლამენტის პროექტზე 20 შენიშვნა გამოთქვეს, რომელთაგან 12 უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა, დანარჩენზე კი გაგრძელდა დისკუსია.
  არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობა დადებითად შეფასდა.

- 2019 წლის 18 თებერვალს, კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს შესარჩევად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟიურის წევრად მიიწვიეს.
- კონკურსის შედეგად შეირჩა ახალგაზრდები, რომლებიც ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, ეკოლოგიის, ტურიზმისა და საგარეო პოლიტიკის კომისიებში გადანაწილდებიან და 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობაში ჩაერთვებიან.
  პროექტი -ალტერნატიული ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო ახალგაზრდების მოტივაციის გაძლიერებას, მათთვის საკანონმდებლო საქმიანობის გაცნობას, პოლიტიკური კულტურის ამაღლებას ისახავს მიზნად, რომლის ფარგლებში, ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა მათთვის საინტერესო ინციატივები საკანონმდებლო ორგანოს რეკომენდაციების სახით წარუდგენენ.

- 2019 წლის 5 მაისს, კომიტეტის წევრები ცოტნე ანანიძე და ლადო მგალობლიშვილი რეგიონის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური საცხოვრებლის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ.
  200 სტუდენტზე გათვლილი ოთხსართულიანი შენობა ბათუმში, ლეონიძის 15-ში მდებარეობს და სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სტუდენტთა განკარგულებაშია საკონფერენციო დარბაზი, თავისუფალი სივრცეები და ბიბლიოთეკა, შშმ პირთათვის ადაპტირებული სივრცეები.
  აღნიშნული სერვისი განათლების უფლების განხორციელებისთვის, განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების გაზრდისთვის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი საქმეა.

- 2019 წლის 17 მაისს, კომიტეტის წევრები ილია ვერძაძე, ლადო მგალობლიშვილი და ნუგზარ სურმანიძე, აჭარის ხელისუფლების მთავრობასთან და საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან ერთად დაესწრნენ ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის წარდგენას, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ წარმოადგინა.
  მულტიფუნქციური კომპლექსის პროექტი საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სპორტულმოედნებს, სარეკრეაციოსივრცეს, საცხოვრებელსა და სხვა კომპლექსებს მოიცავს.
  განათლებისა და მეცნიერების ქალაქის მშენებლობა ბათუმში, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, 7 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დაიწყება და 2020 წლისთვის დასრულდება.

- კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ სოციალური სააგენტოს აჭარის ფილიალის საქმიანობის ანაგრიშის საკომიტეტო მოსმენაზე, 2019 წლის 28 მაისს, ჯანმრთელობის დაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომიტეტის  საჯარო სხდომაზე. საპენსიო და სოციალური პაკეტებზე, საყოფაცხოვრებო სუბსიდიებზე, მაღალმთიანეთზე განკუთვნილ დანამატებზე, საარსებო შემწეობაზე, საყოველთაო ჯანდაცვასა და რიგ სხვა პროგრამების განხორციელებაზე. სხდომაზე კანონმდებლებმა განიხილეს და ცნობად მიიღეს საქართველოს პარლამენტიდან შემოსული საკანონმდებლო ინიციატივები -  ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ", ,,სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ', ,,სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონებში, ,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს შრომის კოდექსში"ცვლილებების შესახებ.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის აპარატებს შორის საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2018 წლის 30 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით, კომიტეტის აპარატის უფროსი იმყოფებოდა  პოლონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვარშავაში სასწავლო/სამუშაო ვიზიტით საქართველოს პარლამენტის აპარატის წევრებთან ერთად.
  ვიზიტის დროს შეხვედრები გაიმართა პოლონეთის სეიმის დარგობრივი კომიტეტების ადმინისტრაციებში, საგარეო ურთიერთობათა ბიუროსა და ევროკავშირის საქმეთა სამდივნოში, ასევე იუსტიციისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის სამდივნოში, რომლის დროსაც მიიღეს ინფორმაცია კანონის განხილვის პროცედურების შესახებ  სეიმსა და სენატში, გაეცნენ პოლონეთში ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას, სახალხო დამცველის მოხსენებასა და ბავშვთა უფლებებს. ვიზიტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო ევროკავშირის პროექტის ფარგლებში.